საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 248-03
05/02/2021

2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების სხვა ფაკულტეტიდან/სკოლიდან ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე და ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ფარგლებში შიდა მობილობის ვადების დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მეორე მუხლის მე-4 პუნქტის, მეოთხე მუხლის მე-3 პუნქტისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 16 ივნისის N7 სხდომაზე დამტკიცებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი წესის მეხუთე მუხლის საფუძველზე, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2021 წლის 3 თებერვლის N683-35, N735-35 და 4 თებერვლის N745-35 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სხვა ფაკულტეტიდან/სკოლიდან ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ან ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ფარგლებში შიდა მობილობა გამოცხადდეს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დანართში მითითებულ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე;
2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის შიდა მობილობის შესახებ სტუდენტთა მიერ განცხადებების დაწერის ბოლო ვადა განისაზღვროს 2021 წლის 19 თებერვლის ჩათვლით;
3. სტუდენტთა მიერ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის შიდა მობილობის შესახებ განაცხადი უნდა გაკეთდეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსი"-ს საშუალებით;
4. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ქვემოთ მოცემულ საბაკალავრო პროგრამებზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველ პირებს, რომლებიც ჩარიცხულნი არიან 2020-2021 სასწავლო წლამდე, ერთიან ეროვნულ გამოცდებში მეოთხე გამოცდად ჩაბარებული უნდა ჰქონდეთ ერთ-ერთი საგანი - მათემატიკა, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია ან ბიოლოგია:

ა) „მათემატიკა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა);

ბ) კომპიუტერული ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა);

გ) კომპიუტერული ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა) (ინგლისურენოვანი);

5. ამ ბრძანების მე-4 პუნქტით განსაზღვრულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ ცნობა გამოცდების ეროვნული ცენტრიდან ამავე პუნქტში მითითებული გამოცდის/გამოცდების წარმატებით ჩაბარების შესახებ;

6. ამ ბრძანების მე-4 პუნქტი არ ეხება სტუდენტებს, რომელთაც ზოგადი მოდულის ფარგლებში წარმატებით აქვთ გავლილი შესავალი კურსი/კურსები დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების (INTROLF) ან საინჟინრო ბლოკიდან (INTROENG);

7. ამ ბრძანების მეოთხე პუნქტი არ ეხება სტუდენტებს, რომლებიც სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხული არიან კანონმდებლობით დადგენილილ წესით ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე და ქართულის, როგორც მეორე ენისა და ინტეგრაციის პროგრამაზე ჩარიცხულ პირებს.

8. 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრამდე ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტებს, რომელებსაც სურთ შიდა მობილობა საბაკალავრო საგანამანთლებლო პროგრამაზე: „კომპიუტერული ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა) (ინგლისურენოვანი)“, გარდა მე-4 პუნქტში მითითებული პირობისა, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული უნდა ჰქონდეთ ინგლისური ენა და გადალახული უნდა ჰქონდეთ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 75%+1;

9. 2020 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურზე ჩარიცხულ სტუდენტებს, რომლებსაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მესამე, არჩევით საგნად ჩაბარებული აქვთ მათემატიკა და გადალახული აქვთ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, მიეცეთ უფლება განახორციელონ შიდა მობილობა ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ნებისმიერ პროგრამაზე;

10. 2020 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურზე ჩარიცხულ სტუდენტებს, რომლებსაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მესამე, არჩევით საგნად ჩაბარებული აქვთ ისტორია და გადალახული აქვთ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, მიეცეთ უფლება განახორციელონ შიდა მობილობა ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ერთიანი მიღების საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამებზე: „ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი, ტურიზმი) (ძირითადი სპეციალობები)“ და „კულტურის მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა)“;

11. 2020 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ერთიანი მიღების საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამებზე: „ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი, ტურიზმი) (ძირითადი სპეციალობები)“ და „კულტურის მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა)“ ჩარიცხულ სტუდენტებს, რომლებთაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მესამე, არჩევით საგნად ჩაბარებული აქვთ მხოლოდ ისტორია, შეეზღუდოთ შიდა მობილობა ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის სხვა პროგრამებსა და ინდივიდუალური მიღების მიმართულებაზე - ბიზნესის ადმინისტრირება (საბანკო და საფინანსო საქმე);

12. 2020 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტები, რომლებსაც სურთ საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამაზე: „კომპიუტერული ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)“ შიდა მობილობა, უნდა აკმაყოფილებდნენ პროგრამით განსაზღვრულ წინაპირობებს, გადალახული ჰქონდეთ შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვრები: ინგლისური ენა - 30%+1 ქულა, მათემატიკა - 30%+1 ქულა და წარმოადგინონ ცნობა გამოცდების ეროვნული ცენტრიდან მითითებული გამოცდის/გამოცდების წარმატებით ჩაბარების შესახებ;

13. 2020 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტები, რომლებსაც სურთ საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამაზე: „კომპიუტერული ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა) (ინგლისურენოვანი)“ შიდა მობილობა, უნდა აკმაყოფილებდნენ პროგრამით განსაზღვრულ წინაპირობებს, გადალახული ჰქონდეთ შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვრები: ინგლისური ენა - 75%+1 ქულა, მათემატიკა - 45%+1 ქულა და წარმოადგინონ ცნობა გამოცდების ეროვნული ცენტრიდან მითითებული გამოცდის/გამოცდების წარმატებით ჩაბარების შესახებ;

14. საბაკალავრო საგანამათლებლო პროგრამაზე: „კომპიუტერული ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა) (ინგლისურენოვანი)“ მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველმა პირებმა, გარდა პროგრამაზე მიღების წინაპირობების დაკმაყოფილებისა, წარმატებით უნდა გაიარონ გასაუბრება დარგობრივ კომისიასთან;

15. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტები, რომლებსაც სურთ საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამაზე: „სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა) (ინგლისურენოვანი)“ შიდა მობილობა, უნდა აკმაყოფილებდნენ პროგრამით განსაზღვრულ წინაპირობებს, გადალახული ჰქონდეთ შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვრები: ინგლისური ენა - 75%+1 ქულა, მათემატიკა - 50%+1 ქულა და წარმოადგინონ ცნობა გამოცდების ეროვნული ცენტრიდან მითითებული გამოცდის/გამოცდების წარმატებით ჩაბარების შესახებ;

16. საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამაზე: „სამოქალაქო ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა) (ინგლისურენოვანი)“ მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველმა პირებმა, გარდა პროგრამაზე მიღების წინაპირობების დაკმაყოფილებისა, წარმატებით უნდა გაიარონ გასაუბრება დარგობრივ კომისიასთან;

17. სამაგისტრო საფეხურზე შიდა მობილობისას დაცული უნდა იქნას ის წინაპირობები, რაც დადგენილია სამაგისტრო პროგრამებზე მიღებისთვის;

18. 2020-2021 წლის სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრამდე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთო სამაგისტრო გამოცდის საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტებს, რომელთაც სურთ ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე სამაგისტრო პროგრამებზე გადასვლა შიდა მობილობის უფლება წარმოეშობათ მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, რომელსაც შეესაბამება მათ მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი;

19. სადოქტორო საფეხურზე შიდა მობილობისას დაცული უნდა იქნას ის წინაპირობები, რაც დადგენილია სადოქტორო საფეხურზე მიღებისათვის და შესაბამისი დებულება.

20. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამაზე სხვა პროგრამიდან გადმომსვლელ სტუდენტთათვის განისაზღვროს 1 ვაკანტური ადგილი;

21. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანს დაევალოს, 2021 წლის 8 თებერვლის ჩათვლით გამოსცეს ბრძანება სადოქტორო პროგრამაზე მიღების პირობებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის თაობაზე;

22. დაევალოს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანს, უზრუნველყოს შიდა მობილობის პროცესის დისტანციურ რეჟიმში, ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით განხორციელება (მათ შორის მიღების წინაპირობების დაცვისთვის აუცილებელი გამოცდების ჩატარება); ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში სტუდენტთა დაშვება სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში უნდა მოხდეს საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი მითითებების/რეკომენდაციების დაცვით;

23. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის მილევად პროგრამაზე მობილობის შესაძლებლობას განსაზღვრავს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი და დაუყოვნებლივ აცნობებს მიღებულ გადაწყვეტილებას მობილობის მსურველ პირს, რათა მან სურვილის შემთხვევაში, შეძლოს სხვა ფაკულტეტზე ან პროგრამაზე გადასვლა;

24. იმ სტუდენტთა მონაცემები, რომლებიც შიდა მობილობას ახორციელებენ იმ საგანმანათლებლო პროგრამებიდან, რომლის საფასური სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანებით დადგენილ ვადებში მიეწოდოს ინდივიდუალურად;

25. შიდა მობილობის შესახებ განცხადებების განხილვისა და შესაბამისი დასკვნების სტუდენტთათვის გაცნობის და მათი მხრიდან დასკვნებზე ხელმოწერის ბოლო ვადად განისაზღვროს 2021 წლის 6 მარტი;

26. შიდა მობილობის შესახებ შესაბამისი შედეგების იურიდიული სამსახურისათვის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2021 წლის 9 მარტი;

27. უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის მიერ შიდა მობილობის შესახებ ბრძანების პროექტის მომზადების ბოლო ვადად განისაზღვროს 2021 წლის 12 მარტი;

28. დაევალოს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, არგუსსა და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ერთიანი სტუდენტური რეესტრის მონაცემთა ბაზაში შიდა მობილობის შედეგების ასახვა შიდა მობილობის შედეგების შესახებ ბრძანების გამოცემიდან 1 დღის ვადაში;

29. შიდა მობილობის შედეგების განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2021 წლის 26 მარტი;

30. შიდა მობილობის პროცესზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანი;

31. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის მიერ მომზადებულ დასკვნებსა და წარმოდგენილ დანართში მითითებულ პროგრამის სახელწოდებების სისწორეზე პასუხისმგებელ პირებად განისაზღვრონ ფაკულტეტის დეკანი და პირი, რომელიც ამზადებს შესაბამის დასკვნას;

32. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის დეკანს დაევალოს, ფაკულტეტზე შექმნას ჯგუფი, რომელიც მოახდენს შიდა მობილობის პროცესის უზრუნველყოფას;

33. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს დაევალოს უზრუნველყოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის;

34. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსი“-ს საშუალებით;

35. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს დაევალოს, უზრუნველყოს შიდა მობილობის პროცესში მონაწილე სტუდენტთა თავსებადობის დასკვნების მიწოდება საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისთვის, შიდა მობილობის შედეგების ბრძანების გამოცემიდან სამი სამუშაო დღის ვადაში.

36. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს უზრუნველყოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის ყველა შესაძლო საშუალებით;

37. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს ფაკულტეტებს/სკოლას, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის

დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის აპარატს, იურიდიულ სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ადმინისტრაციის სამდივნოს, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს.

გიგა ზედანია

რექტორი